საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე

კ. გამსახურდია

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე [3 (15). V. 1891, აბაშა, – 17. VII. 1975, თბილისი], მწერალი.საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). დაიბადა შეძლებული აზნაურის ოჯახში. ქუთ. ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზიის წარჩინებით დამთავრებისთანავე (1911) მიავლინეს პეტერბ. უნ-ტში, მაგრამ იმავე წელს მიატოვა უნ-ტი და გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. სწავლა განაგრძო ჯერ კენიგსბერგის, შემდეგ ლაიფციგის უნ-ტში, ამ წლებში იმოგზაურა იტალიაში, მცირე ხნით ჩამოვიდა საქართველოშიც და 1914 კვლავ გერმანიაში დაბრუნდა, სადაც მიუნხენის უნ-ტში გერმ. ფილოს. და ლიტ-რის შესწავლას შეუდგა. 1918 გ. არდადეგებზე ჩამოვიდა საქართველოში და მონაწილეობა მიიღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ნატანების ფრონტზე. ამავე წელს დააარსა ჟურნ. „პრომეთე“, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართ. მხატვრული აზროვნების განვითარებაში. 1919 იგი კვლავ დაბრუნდა ბერლინში, დაამთავრა უნ-ტი ფილოს. დოქტორის წოდებით და დაბრუნდა სამშობლოში. აქედან დაიწყო მისი აქტ. სამწერლო და საზ. მოღვაწეობა. გ. ტაბიძესა და ლ. ქიაჩელთან ერთად რედაქტორობდა *ლიტ.* ჟურნ. „ლომისს“, გაზ. „ქართული სიტყვა“|„ქართულ სიტყვას“, დააარსა საკუთარი გაზ. „საქართველოს სამრეკლო“, ჟურნ. „ილიონი“, 1922-იდან სათავეში ჩაუდგა „აკადემიური მწერლობის კავშირი“|„აკადემიური მწერლობის კავშირს“. გ-ს პირველი ლექსები და კრიტ. წერილები 1909 დაიბეჭდა ქუთაისში. გერმანიაში ყოფნის დროს მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა ექსპრესიონისტულმა მსოფლმხედველობამ; აქედან

მოყოლებული, მისი ლირიკა განიმსჭვალა სამყაროს განახლების ექსტაზური გრძნობით, მკვეთრად გამოხატული ურბანისტული მსოფლგანცდით (ორი სონეტი „გრაფ ცეპელინისადმი“, „ემილ ვერჰარნისადმი“, „ბერლინი“, „ქრისტე პარიზში 1919 წელს“, „მარია სტელა“, „ნოემბრის ქარი“ და სხვ.). 1924 გამოქვეყნდა გ-ს პირველი წიგნი – ექსპრესიონისტული ნოველების კრებ. „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“; ამ ნოველებში არსებითია „სულის აქტივიზმი“, გამოხატული „სიტყვის აქტივობით“; მწერლისთვის არსებობს ერთი რეალობა, რ-იც ხელოვანის სულში აღმოჩენილი, გარდაქმნილი სინამდვილეა, უფრო დინამიკური და ძლიერი, ვიდრე თვით რეალური სინამდვილე; აქ „გრძნობის ატომიზმისა“ და მისი იმპრესიონისტული ასახვის საპირისპიროდ არსებითი მეთოდია ანტიფსიქოლოგიზმი, „მარადი ღელვა“, სინამდვილის ექსტაზური, კოსმოსური განცდა („ზარები გრიგალში“, 1924). ნოველა „მკვდართან შეხვედრა“ (1919) პირველი ნაწარმოებია ქართ. მწერლობაში, სადაც პიროვნების გაუცხოების პრობლემა პროფესიულად აისახა; ტიპობრივი ექსპრესიონისტული ნოველაა „ტელეფონში“ (ერთ-ერთ ქვეთავად შევიდა რომანში „დიონისოს ღიმილი“), რ-შიც ასევე ადამიანის პიროვნების გაუცხოების პრობლემა ექსპრესიონისტული უკიდურესობითაა დასმული. მკვეთრად გამოხატული ესთეტიზმი და ნიცშეანიზმის შეხედულებების ზეგავლენა ამჩნევია ნოველებს „პორცელანი“, „ლილ“ (1922), „ქალის რძე“ (1929). ბევრად აქტუალური და მნიშვნელოვანია მცირე ფორმის ექსპრესიონისტული ნაწარმოებები „ფოტოგრაფი“ (1919), „ტაბუ“ (1925–27), „მშვენიერება“, „დიდი იოსები“ (1926–30), რ-თაც მძაფრი სოც.-ეროვნ. თვალსაზრისი ასაზრდოებს. ავტობიოგრ. სიმძაფრით შექმნილი „ხოგაის მინდიას“ (1937) ძირეული ზარი, ეთიკური გაორება და სულიერი დრამის სათავეები მეტად ახლოა ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა ეროვნ. კონცეფციასთან. 1924 ქართვ. ხალხის ეროვნ. ცხოვრებაში მძაფრი *პოლიტ.* თარიღია და ნაწილობრივ მისი გამოძახილია გ-ს რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1914–24, გამოქვეყნდა 1925). „სული ომს უცხადებს თვითმპყრობელ მატერიას, სული ილაშქრებს რეალური ფაქტების წინააღმდეგ, სული არღვევს ყოველდღიურობის ფიზიკას“, – ამაგვარი ექსპრესიონისტული ფორმულა რამდენადმე გამოხატავდა რომანის მიზანსწრაფვას.

კონსტანტინე გამსახურდია. ჩაწერილია 1961 წელს: https://www.youtube.com/watch?v=ftp2uid-YNQ

ტრილოგია „მთვარის მოტაცება“ (1936) გ-ს ერთ-ერთი ცენტრ. ქმნილებაა. ტრილოგიაში მთელი სიმწვავითაა დასმული პრობლემა ინდივიდ. კულტურის შეუთავსებლობისა ახ. კოლექტივისტურ ნებასთან, ნაჩვენებია ახ. ადამიანის ჩამოყალიბების მთელი სირთულე; ნაწარმოების ტიპაჟის უკან იგულისხმება მათი წარმომშობი სოც. წრეების ისტ. ხვედრი; ავტორმა გვიჩვენა ამ სოც. ფენების სრული რევ. გარდაქმნის დრამატული არსი; თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა მძლავრად შეძრა რევ. ნების სტიქიისდარმა შემოტევამ საქართვ. ისტ. არსებობის საფუძვლები და დადგა უკიდურესი გამოცდის დრო; რევ. სტიქიამ მიზანში ამოიღო ქვეყნის ათასწლოვანი ტრადიცია, ყოფა, აღმსარებლობა, ეროვნ.-კულტ. განუმეორებლობა. გაიმარჯვა ფართო მასების უკიდეგანო სტიქიამ. მაგრამ

მწერალს უნდოდა ეჩვენებინა ის, რაც დამარცხდა, რამაც ცხოვრების უკანა პლანზე გადაინაცვლა და რასაც სამუზეუმო ექსპონატის როლი მიუჩინეს. 30-იანი წწ. დამდეგისათვის ეს იყო ჭეშმარიტად მოქალაქეობრივი გმირობა – მხატვრულად ნათელეყო, თუ რატომ მოითხოვდა გონიერება პატივი ეცათ ძველი, ათასწლოვანი კულტურისათვის და განადგურებისა და აღკვეთის ობიექტად არ ექციათ იგი. მწერალი აგონებდა მკითხველს, რომ დამარცხებული წარსულის ხელაღებით იავარყოფას საკუთარი სახის წაშლა და ისტ. უსახურობა მოჰყვება, რომ ეკლესიის ბოსლად ქცევა პროგრესის ნიშანი სრულებითაც არ არის. ნაწარმოების მთავარი გმირის, ძველი საქართველოს დიდგავროვანი ნაშიერის – თარაშ ემხვარისათვის, რ-იც ავტორის იდეათა გამომსახველია, წმიდათაწმიდაა საშობლოს წარსულის ყოველი შემონახული ნაშთი, ყოველი ისტ. და ეთნიკური შტრიხი; ეროვნ. კულტურას მხოლოდ ამგვარად შეუძლია იარსებოს. იგი ვერ შეურიგდა წარსულმოშლილი სამშობლოს შვილობას, მისთვის ისტ.-ეთნიკური სახის შენარჩუნება ადამიანის ეროვნ. ღირსების ხელშეუხებლობას ნიშნავს.

საკუთარ ლექსს კითხულობს კონსტანტინე გამსახურდია: https://www.youtube.com/watch?v=ox9zZYSGoPI

ისტ. თემაზე დაწერილი პირველი რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ 1939 გამოქვეყნდა. ეს არის მხატვრულად სრულყოფილი ტილო, მასში ავტორის ძირითადი თვალსაზრისი მრავალმხრივაა გაშლილი; ისტ.-კულტ. კონცეფცია აქ ორი მთავარი პერსონაჟის – მეფე გიორგი I-ისა და სვეტიცხოვლის აღმშენებლის, ხუროთმოძღვარ არსაკიძის – მხატვრული სახეებითა და შეპირისპირებით ხორცილედება. ერთი მხრივ, ავტორის ისტ.-ეროვნ. თვალსაზრისს საფუძვლად უდევს XI ს. დამდეგის ფეოდ. საქართველოს მძაფრი შინაპოლ*იტ.* ცხოვრების ჩვენება; სისხლიანი პოლ*იტ.* კოლიზიების ფონზე ხაზგასმულია იდეა ქვეყანაში სოც. კონფლიქტების უვნებელყოფის პირველადი მნიშვნელობისა; საქართვ. ძირითადი სახელმწიფოებრივი ენერგია იხარჯება პარტიკულარისტ ფეოდალთა განკერძოების დასათრგუნავად; ამ ეროვნ. ენერგიას განასახიერებს მეფე გიორგი I, რ-ის რწმენითაც, შინაპოლ*იტ.* წესრიგის სიმყარე, პოლ*იტ.* ერთმმართველობის განუხრელობა გადაწყვეტს ქვეყნის ისტ. ბედს. მეორე მხრივ, ავტორის კულტ.-ეროვნ. თვალთახედვას ასაზრდოებს სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის ლეგენდით მოსილი ისტორია. რომანში სვეტიცხოველი რელიგ. იდეას კი არ გამოხატავს, არამედ – ერის შემოქმედებით ძალმოსილებასა და სულიერ-ზნეობრივ წყობას. ავტორის სიტყვებით, არსაკიძე და გიორგი მეფე „თეზასა და ანტითეზას“ წარმოადგენენ, თუმცა მათი თანაარსებობა გარდაუვალია, ურთიერთსაჭირონი არიან; ორივე ემსახურება ერთ ეროვნულ-ისტ. მისიას, მაგრამ სავსებით შეუთავსებელი, ურთიერთგამომრიცხავი გზებითა და ხერხებით. არსაკიძე ეროვნ. კულტ. ვინაობის მაღალი გონის განმასახიერებელი მხატვრული ფიგურაა; ხელოვნ. თემა, შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემა წამყვანია რომანში. ნაწარმოების პოეტიკა, მხატვრული სახის სტილისტიკა, ტიპიზაციისა და განზოგადების უხვად მოხმობა მითოლოგიზაციას უახლოვდება, ხოლო ისტორიის გამიზნულობა დღევანდელობაზე ზნეობრივ-მოქალაქეობრივ პათოსს სძენს რომანს.

გ-ს გვიანდ. შემოქმედებაში მთავარ ადგილს იკავებს ისტ. რომანისტიკა (ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, დაუმთავრებელი ისტ. რომანი „თამარ“). „დავით აღმაშენებლის“ I წიგნი 1942 გამოიცა, IV – 1962 (რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1965). ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა ფართო მოცულობის ეპიკური ნაწარმოები, რ-შიც მრავალმხრივ აისახა XI ს. მიწურულისა და XII ს. დამდეგის ახლო აღმოსავლეთის ისტორიულად უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ეს არის ფართო თვალთახედვისა და დიდი ყალიბის ეპოპეა, რ-ის მასშტაბურობას ხელს უწყობს ისიც, რომ XII ს. დამდეგის საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან და თვალსაჩინო იყო მისი როლიც მსოფლიოს დიდ პოლიტიკაში. მწერალი დავით აღმაშენებელს გვიხატავს ქართვ. სახელმწ. მოღვაწის მონუმენტურ ისტ. ფრესკად, თავისებურ ისტ. ქვაკუთხედად, რ-ზედაც დაფუძნებულია ჩვენი ქვეყნის ისტორია. ღირსშესანიშნავია გ-ს ენა, რ-იც ისტ. რომანში კიდევ ერთ განზომილებას – სიძველის ელფერს – იღებს და ქმნის არამარტო ისტ. გარემოს, არამედ. ეროვნ. წიაღისა და ხალხის სულის წვდომის ცოცხალ განცდასაც. მისი ისტ. რომანების ენა ავლენს ქართ. ენის სიმდიდრეს, მისი განვითარების უწყვეტ და მაღალ შესაძლებლობებს; იგი არტისტულია თავისი ბუნებით, გამოირჩევა ჭარბი ფერწერულობით და პოეტური ხატოვანებით. სტილური შეფერილობის მხრივ მისი მხატვრული მეტყველება უხვად შეიცავს *ლიტ.*-დეკორ. თუ მოზაიკურ ელემენტს.

1955 გამოქვეყნდა რომანი „ვაზის ყვავილობა“, რ-იც მოგვითხრობს ქართ. სოფლის შრომით ცხოვრებაზე, უძველესი ქართ. კულტურის, ვაზის გაშენებასთან დაკავშირებულ ჯაფაზე და თანამიმდევრულად წარმოადგენს ომამდელ, ომისდროინდელ და ომის შემდგომ ხანას.

1932, გოეთეს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გ-მ გამოაქვეყნა „გოეთეს ცხოვრების რომანი“, პირველი ისტ.-ბიოგრ. რომანი ქართ. ენაზე.

კონსტანტინე გამსახურდია, 1973 წლის ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=SFUIP9XwBUI

გ-ს შემოქმედებაში სრულყოფას მიაღწია ქართ. მხატვრულმა ნარკვევმა. „უკრაინის თემიდი“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია მწერლის მხატვრულ მოქალაქეობრივ ბიოგრაფიაში. ქართვ.-სომეხთა ისტორიულად განმტკიცებული მეგობრობის კიდევ ერთ მიმანიშნებელ ფაქტად იქცა ნარკვევი „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“. გ-ს ეკუთვნის მისტერია „გარსი მარადი“, მრავალი კრიტ. წერილი, ესეები ქართვ., სომეხ. რუს და ევრ. კლასიკოსთა მხატვრულ შემოქმედებაზე. მან თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ (კ. ჭიჭინაძესთან ერთად), ი. ვ. გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, უ. უიტმენის ლექსები და სხვ. განსაკუთრებულ შესწავლას ითხოვს გ-ს 10–20-იანი წწ. პუბლიცისტიკა:

„ტროიანული ცხენი“, „ველიკორუსები და არარუსები“, „პოეზიის დღე“, „რეფლექსიები 29 ნოემბერზე“, „გაორებული საქართველო“, „ეროვნული ყრილობისათვის“, „საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ“, „ძმები ხართ თუ მტრები“, „სპილენძის მხედარი განსაცდელშია“, „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“, „ვინ არის შოვინისტი“, „პასუხი“, „სიტყვები ქართველი ერისადმი“ და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხ. ენებზე.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 10. [შემდგ: მანანა არჩვაძე გამსახურდია), თბ., 2005–2012 (შეიცავს რვა ტომს).

ლიტ.: ს ი გ უ ა ს., ქართული სული – ევროპული თვალთახედვით, თბ., 2013; ს ი გ უ ა ს., კონსტანტინე გამსახურდია, პროზის სტრუქტურა, თბ., 1989; კ ი კ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი თ. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, თბ., 1997; გ ა გ ნ ი ძ ე ზ., კონსტანტინე გამსახურდია და ეროვნული იდეოლოგია, თბ., 2001.

გ. კანკავა